ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3074715

ნომერი: AR1473624

თარიღი : 26.01.2017

გაცემის თარიღი : 02.02.2017

გაცნობის თარიღი : 03.02.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შუამთის ქუჩა N10ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მუჰსინ კურტ პ/ნ 01017034320
- კეკელიძის 46ა

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1821127
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 24.04.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 08/12/2016 წლის №ბ-387009/12 ბრძანებაში ექსპლუატაციაში უარის თქმის შესახებ აღნიშნულია, რომ:

- +3,4 ნიშნულს ზევით შეცვლილია მოაჯირების გაბარიტები, ნახატი, რომლებიც მოწყობილია შიდა სივრცეში და გარედან მთლიანად შემინული;
- პანდუსი სცდება საკადასტრო საზღვრებს;

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურითვის განხორციელებული მშენებლობის დადასტურების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული აქტი, შესაბამისად, საჭიროა:

- შენობა-ნაგებობა, ვინაიდან მისი სართულიანობა აღემატება 9-ს, უზრუნველყოფილ იყოს შეუბოლავი კიბის უჯრედით;
- შენობის ნაწილ(ებ)ი არ სცდებოდეს საკადასტრო საზღვრებს:

მას შემდეგ რაც გამოსწორდება ხარვეზი, საჭიროა ჯერ ზედამხედველობის სამსახურს მიმართოთ - ბრძანების აღნიშნულ ნაწილ(ებ)ში ცვლილების შესატანად და შემდეგ მომართოთ არქიტექტურის სამსახურს (საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინეთ განახლებული ფოტოსურათები).
ამასთან, არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება; სამსახურს უნდა მომართავდეს შპს-ს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. საჭიროა დააფიქსიროთ თანაგანმცხადებლად ან წარმოადგინოთ შესაბამისი წესით გაცემული მინდობილობა განმცხადებლის სახელზე.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.